

შპს „მაზა“

სს/კ 401987374

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წელი - 2021 წ

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

	გვ.
• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - - - - -	2
• საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) - - - - -	3
• ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება - - - - -	4
• კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება - - - - -	5
• ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - - - - -	6-18

ფინანსური მდგომარეობის უწყისი - ფორმა N1

	შენიშვნა	30.12.2021	30.12.2020	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	610 753	650 611	351 272
არამატერიალური აქტივი	5	1 172	1 172	1 172
		611 925	651 783	352 444
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	1 813 895	607 263	2 764 632
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	739 754	983 109	18 066
სასესხო მოთხოვნები				
დარიცხული მისაღები შემოსავალი /ავანსი				-
მარაგები	3	7 337 966	4 800 231	2 435 248
სხვა მიმდინარე აქტივები	4	185 529	1 068	28 465
		10 077 144	6 391 671	5 246 411
მთლიანი აქტივები		10 689 069	7 043 454	5 598 855
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	6	614 315	65 301	156 605
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 792 063	4 116 000	4 394 700
გადაფასების რეზერვი				
		5 406 378	4 181 301	4 551 305
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	2 378 411	597 242	688 130
გამომუშავებული შემოსავალი	8	1 216 245	7 000	34 096
		3 594 656	604 242	722 226
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1 443 390	1 915 187	
სხვა ვალდებულებები	10	3 559	335	
საგადასახადო ვალდებულებები	11	175 292	157 591	77 676
ვალდებულებების პერსონალის წინაშე				180
გადასახდელი სესხზე დარიცხული პროცენტი	12	996		
სხვა ვალდებულებები გადასახდელი დივიდენდი	13	64 798	184 798	247 468
		1 688 035	2 257 911	325 325
მთლიანი ვალდებულებები		5 282 691	2 862 153	1 047 551
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10 689 069	7 043 454	5 598 855

_____ ზაზა ბოხუა - დირექტორი

_____ დარეჯან ქუბრაშვილი - ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი - ფორმა N1

	შენიშვნა	30.12.2021	30.12.2020	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	610 753	650 611	351 272
არამატერიალური აქტივი	5	1 172	1 172	1 172
		611 925	651 783	352 444
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	1 813 895	607 263	2 764 632
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	739 754	983 109	18 066
სასესხო მოთხოვნები				
დარიცხული მისაღები შემოსავალი /ავანსი	3	7 337 966	4 800 231	2 435 248
მარაგები	4	185 529	1 068	28 465
სხვა მიმდინარე აქტივები				
		10 077 144	6 391 671	5 246 411
მთლიანი აქტივები		10 689 069	7 043 454	5 598 855
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	6	614 315	65 301	156 605
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 792 063	4 116 000	4 394 700
გადაფასების რეზერვი				
		5 406 378	4 181 301	4 551 305
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	2 378 411	597 242	688 130
გამომუშავებული შემოსავალი	8	1 216 245	7 000	34 096
		3 594 656	604 242	722 226
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1 443 390	1 915 187	
სხვა ვალდებულებები	10	3 559	335	
საგადასახადო ვალდებულებები	11	175 292	157 591	77 676
ვალდებულებების პერსონალის წინაშე				180
გადასახდელი სესხზე დარიცხული პროცენტი	12	996		
სხვა ვალდებულებები გადასახდელი დივიდენდი	13	64 798	184 798	247 468
		1 688 035	2 257 911	325 325
მთლიანი ვალდებულებები		5 282 691	2 862 153	1 047 551
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10 689 069	7 043 454	5 598 855

ხელმოწერი პირები:

ზაზა ბოხუა - დირექტორი

დარეჯან ყუბრიაშვილი - მრ. ბუღალტერი

19 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6 - 18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს



მოგება - ზარალის ანგარიშგება - ფორმა N2

	შენიშვნა	2021 წ	2020 წ
ამონაგები	14	2 068 939	122 633
თვითღირებულება	15	(945 230)	(83 207)
საერთო მოგება		1 123 709	39 427
სხვა შემოსავლები			
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(171 846)	(146 996)
საოპერაციო მოგება		951 863	(107 569)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა სავალუტო ოპერაციებიდან:	17	60 567	178 827
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	(4 556)	(16 021)
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო საპროცენტო ხარჯი	19	8 746	15 745
ფინანსური ხარჯი - წმინდა		1 016 620	70 982
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრამდე		1 016 620	70 982
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		1 016 620	70 982

_____ ზაზა ბოხუა - დირექტორი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი- ბუღალტერი

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

მოგება - ზარალის ანგარიშგება - ფორმა N2

	შენიშვნა	2021 წ	2020 წ
ამონაგები	14	2 068 939	122 633
თვითღირებულება	15	(945 230)	(83 207)
საერთო მოგება		1 123 709	39 427
სხვა შემოსავლები			
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(171 846)	(146 996)
საოპერაციო მოგება		951 863	(107 569)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა			
სავალუტო ოპერაციებიდან:	17	60 567	178 827
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	(4 556)	(16 021)
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო	19	8 746	15 745
საპროცენტო ხარჯი			
ფინანსური ხარჯი - წმინდა		1 016 620	70 982
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრამდე		1 016 620	70 982
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების			
გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		1 016 620	70 982

ხელმოწერილი პირები:

ზაზა ბოხუა - დირექტორი



დავით ქუბრიაშვილი - მთ. ბუღალტერი

19 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6 - 18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	2021'	2020'
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(705 965)	(2 095 813)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	3 627	12 579
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	2 105 159	(390 043)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1 402 821	(2 473 277)
სავალუტო კურსის ეფექტი	(196 189)	315 908
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	607 263	2 764 632
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1 813 895	607 263

_____ **ზაზა ბოხუა - დირექტორი**

_____ **დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი**

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო


ფულადი სახსრების მოძრაობა - ფორმა N3

	2021'	2020'
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(705 965)	(2 095 813)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	3 627	12 579
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	2 105 159	(390 043)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1 402 821	(2 473 277)
სავალუტო კურსის ეფექტი	(196 189)	315 908
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	607 263	2 764 632
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1 813 895	607 263

ხელმოწერილი პირები:


 ზაზა ბოზუა - დირექტორი
 19 ოქტომბერი, 2022
 თბილისი, საქართველო




 დარეჯან კუბრიაშვილი - მთ. მფლობელი

შენიშვნები 6 - 18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილებების ანალიზი - ფორმა N4

შპს "მაზა"

კაპიტალის მოძრაობა ფორმა N4

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	156 604	-	4 394 700	4 551 304
წმინდა მოგება	-	-	70 982	70 982
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	70 982	70 982
გაცემული დივიდენდი	(91 304)	-		(91 304)
კაპიტალის სხვა ცვლილება			(349 682)	(349 682)
2020 წლის 31 დეკემბერი	65 301	-	4 116 000	4 181 301
წმინდა მოგება	-	-	1 016 620	1 016 620
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 016 620	1 016 620
გაცემული დივიდენდი	-	-	(340 557)	(340 557)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	549 014	-		549 014
კაპიტალის სხვა ცვლილება			-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	614 315	-	4 792 063	5 406 378

_____ ზაზა ბოხუა - დირექტორი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შპს „მაზა“ ს/კ 401987374 - ფინანსური ანგარიშგება 31.12.2021 წ დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	156 604	-	4 394 700	4 551 304
წმინდა მოგება	-	-	70 982	70 982
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	70 982	70 982
გაცემული დივიდენდი	(91 304)	-	(349 682)	(91 304)
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	-	(349 682)
2020 წლის 31 დეკემბერი	65 301	-	4 116 000	4 181 301
წმინდა მოგება	-	-	1 016 620	1 016 620
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 016 620	1 016 620
გაცემული დივიდენდი	-	-	(340 557)	(340 557)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	549 014	-	-	549 014
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	614 315	-	4 792 063	5 406 378

ხელმოწერი პირები:

ზაზა ბოხუა - დირექტორი



დარეჯან ეზურიშვილი - მთ. ბუღალტერი

19 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6 -18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1) შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მაზა“, (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში 2013 წლის 20 აგვისტოს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, მის მფლობელებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები

- 01006001519, ზაზა ბოხუა 30% წილის მფლობელი
- 01003016283, დავით ქუბრიაშვილი 35% წილის მფლობელი
- 11CV17466, 01031003677, მამუკა გორგოძე 35% წილის მფლობელი

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი - 01006001519, ზაზა ბოხუა

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სამოქალაქო შენობების მშენებლობა, კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მას., II კვ., კორ. 19, ბ. 41

კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, და შედარებით მაღალი ინფლაცია

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2) მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

„წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებაშედეგა

შემდეგი ნაწილებისგან:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის - ფორმა N1
- 2021 წლის ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ - ფორმა N2
- 2021 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება - ფორმა N3
- 2021 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება - ფორმა N4
- შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს, სს ფასზე გადასვლის შემდგომ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა სააანგარიშგებო პერიოდებში, აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. აქედან გამომდინარე მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

- შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს, როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა. სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე

პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2021	31/12/2020
1 USD/GEL	3.0976	2.8677
1 EUR/GEL	3.5040	3.2095

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობით აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის (ფულადი ნაკადების) შესახებ

- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N3 -ის მიხედვით
- ანგარიშგება ფულადი ნაკადები შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, და ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებსა და ხარჯებს შორის სხვაობის სახით სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს
 - საოპერაციო საქმიანობიდან
 - საინვესტიციო საქმიანობიდან
 - საფინანსო საქმიანობიდან
- მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრებში დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, საბიუჯეტო გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები
- ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია სხვაობა დამფუძნებლების მიერ კაპიტალშიშენატანსა და განატანს შორის
- ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია სესხის გაცემიდან მიღებული ფულადი სახსრები, მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზრაურება. კონკრეტულად აღნიშნულ ანგარიშგებაში არსებული მონაცემი გულისხმობს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალს. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში
- მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად, თუმცა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დაასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები

ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

- ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N4 -ის მიხედვით
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება.
- კომპანიის კაპიტალში პარტნიორთა შენატანსა და განატანს შორის უარყოფითი სხვაობა შეადგენს - 91 304 ლარს

3) ანგარიშგება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ + შენიშვნები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში . უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის 31 დეკემბერს არსებული კურსით

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020
ფული საბანკო ბარათებზე	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	608 679	214 570
უცხოური ვალუტა ბანკში	1 205 215	392 693
სულ	1 813 895	607 263

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი შეიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.,

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	625 951	980 991
მოთხოვნები იჯარიდან	-	-
გადახდილი ავანსები	113 803	-
ფული ანგარიშვალდებულ პირებზე	-	2 118
სულ	739 754	983 109

3. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, ასევე შრომის ანაზღაურება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდი პროდუქციის შესაქმნელად (საცხოვრებელი ფართი) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აღიარდება როგორც დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც ხარჯად ჩამოიწერება რეალიზებული ბინის ფართობის პროპორციულად,

მარაგები

	2021	2020
ნედლეული და მასალები	-	442
მიწის ნაკვეთი	1 670 027	1 670 027
დაუმთავრებელი წარმოება	127 141	2 926 046
მზა პროდუქცია	5 540 798	203 717
სულ	7 337 966	4 800 231

2021 წლის განმავლობაში 945 230 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

4. სხვა მიმდინარე აქტივი

	2021	2020
მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ	185 529	1 068
სულ	185 529	1 068

5. გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი საფაქრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში

.ძირითადი საშუალებები	შენობა ნაგებობები	ლიცენზიები	მცირე ფასიანი ხელსაწყო ინსტრუმენტი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	სულ
31.დეკ.20	210 530	1 172	716	45 833	467 539	725 790
შემოსვლა			14 651	2 536		17 187
გადაფასება						-
გასვლა						-
31.დეკ.21	210 530	1 172	15 367	48 369	467 539	742 977
ცვეთა და გაუფასურება			-	-	-	
31.დეკ.20	(23 112)	-	(582)	(13 182)	(37 131)	(74 007)
პერიოდის ცვეთა	(8 156)		(3 378)	(6 550)	(38 962)	(57 046)
გასვლა						
31.დეკ.21	(31 268)	-	(3 960)	(19 732)	(76 093)	(131 053)
წმინდა საბალანსო ღირებულება			-	-	-	
31.დეკ.20	187 418	1 172	134	32 651	430 408	651 783
31.დეკ.21	179 262	1 172	11 407	28 637	391 446	611 925

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას როგორც ძირითად საშუალებას . ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს ათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
შენობა	40
ხელსაწყო ინსტრუმენტი	3
ავეჯი და ინვენტარი	10
საოფისე მოწყობილობა და ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების გაუფასურების ნიშნები საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია მიეკუთვნება სხვა მიმდინარე აქტივებს

6. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება წლების განმავლობაში (2015წ-2021წ) დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისა და საწესდებო კაპიტალისგან; თავის მხრივ საწესდებო კაპიტალს შეადგენს დამფუძნებელი ფიზიკური პირების შემონატანი. საწესდებო კაპიტალის ნაშთი იცვლება ეტაპობრივად, დამფუძნებლების მიერ კომპანიის საბანკო ანგარიშზე ეროვნული ვალუტის ან მისი ქვევალენტის შემონატანის და განატანის შედეგად

საწესდებო კაპიტალი	31.დეკ.21	31.დეკ.20
ფულადი სახით შევსებული კაპიტალი	614 315	65 301
სულ	614 315	65 301

7. სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). ზოგადად სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიას გააჩნია დამფუძნებლების მიმართ უპროცენტო სასესხო ვალდებულება უცხოურ ვალუტაში (EUR), რომლის გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ოფიციალური გაცვილითი კურსის მიხედვით აღნიშნული ვალდებულებიდან კომპანიას არ წარმოეშვება ფინანსური ხარჯი, გარდა საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალისა

გრძელვადიანი სესხი	31.დეკ.21	31.დეკ.20
ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	2 378 411	597 242
სულ გრძელვადიანი სესხები	2 378 411	597 242

8. გამოუმუშავებელი შემოსავალი

მიღებული ავანსები	31.დეკ.21	31.დეკ.20
მიღებული ავანსი ბინების რეალიზაციიდან	1 216 245	7 000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 216 245	7 000

ბინების რეალიზაციისას ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველისგან ხდება უძრავი ქონების საფასური ეტაპობრივად გადახდა, რომელიც აღიარდება, როგორც მიღებული ავანსი და იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით სსკ-ის შესაბამისად. კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში, როცა მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულება, სახელშეკრულებო საგანი გადადის მყიდველის საკუთრებაში და ავანსად გადახდილი თანხები შემოსავლად აღიარება

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	28 732	9 745
ვალდებულება უძრავ ქონების შეძენიდან	1 414 658	1 905 442
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი საპენსიო	-	-
სულ	1 443 390	1 915 187

- სავაჭრო ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს არ ერიცხებათ პროცენტი

10. სხვა ვალდებულებები

	2021	2020
საპენსიო ფონდი	3 559	335
სულ	3 559	335

11. საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
საშემოსავლო გადასახადი	1 660	9 726
დამატებული ღირებულების გადასახადი	147 401	100 480
მოგების გადასახადი	24 922	47 214
ქონების გადასახადი	1 309	171
სულ	175 292	157 591

12. საპროცენტო ვალდებულება

	31.დეკ.21	31.დეკ.20
ფიზიკური პირებიდან მიღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტი	996	-
სულ	996	-

13. გადასახდელი დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში. დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული საბიუჯეტო გადასახადი

	2021	2020
ზაზა ბოხუა	8168,4	8168,4
მამუკა გორგოძე	56 630	176 630
დავით ქუბრიაშვილი	-	-
საბოლოო ნაშთი	64 798	184 798

4) ანგარიშგება კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ + შენიშვნები

- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება ფორმა N 2 წარმოდგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. მასში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით. საოპერაციო შემოსავლები და გაწეული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით, ხოლო ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები მუხლობრივად, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით
- არააოპერაციო შემოსავლები საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მოცემულია განცალკევებულად
- საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზა წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადაახადები და განაცემები, რომლებიც აგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- საგადასახადო მიზნისათვის მოგების გადასახადსა და სააღრიცხვო მოგებიდან მოგების გადასახადის ტარიფით გამოთვლილი მოგების გადასახადის სხვაობა მსს ფასს-ის მიხედვით უნდა აისახოს საგადასახადო აქტივის ან გადავადებული გადასახადის სახით, მაგრამ მეორეს მხრივ ასეთი სხვაობა გამოწვეულია არა შემოსავლებისა და ხარჯების ღირებულების დროებითი სხვაობებით არამედ დაბეგვრის ბაზის ფორმირების არსებითი სხვადასხვაობით. ამასთან აღნიშნული გაურკვევლობა რამე ნორმატიული აქტით არ რეგულირდება.
- აღნიშნულის გათვალისწინებით მსს ფასს-ი მე-3 განყოფილების (პ. 3.4 – 3.7) საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - სხვაობა საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი მოგების გადასახადისა და საანგარიშო მოგების გადასახადს შორის არ აისახოს საგადასახადო აქტივის სახით

14. შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან

კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების მშენებლობა და გაყიდვა, რომლის რეალიზაციის პერიოდად ითვლება გასაყიდ უძრავ ქონებაზე უფლებების და ვადებულებების გადაცემა მყიდველ მხარეზე, თანახმად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა.

ამონაგები	2021	2020
საცხოვრებელი ფართის რელიზაცია	1 667 277	90 424
პარკინგის რელიზაცია	364 879	29 837
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	5 339	2 373
სხვა შემოსავალი	31 445	-
სულ	2 068 939	122 633

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
დამხმარე მასალები	-	(75)
ძირითადი მასალები	(945 230)	(83 131)
სულ	(945 230)	(83 207)

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
სახელფასო ხარჯი	(79 083)	(58 654)
ქონების გადასახადის ხარჯი	(7 615)	(5 581)
დამხმარე სამუშაო-მომსახურება	-	(6 908)
რეესტრის და სხვა ხარჯი	(3 547)	(1 298)
დაზღვევა	(6 173)	(9 653)
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	(2 472)	(2 858)
ავტოტექნომსახურების ხარჯი	(2 606)	(92)
საკონსულტაციო ხარჯი	(153)	(339)
საწვავის ხარჯი	(3 535)	(2 770)
ცვეთის ხარჯი	(57 046)	(43 534)
საბიუჯეტო ჯარიმა საურავი	(6 822)	(9 880)
ელ ენერგიის და კომუნალური ხარჯი	(2 796)	(2 415)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	(3 013)
სულ	(171 846)	(146 996)

17. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2021	2020
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება	256 774	319 018
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	(197 185)	(141 591)
საშემოსავლო შეღავათი	978	-
სულ	60 567	177 427

18. სხვა ხარჯები

	2021	2020
საქველმოქმედო ხარჯი	(4 556)	-
სხვა შემოსულობა/(ზარალი)	-	(16 021)
სულ	(4 556)	(16 021)

19. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

<i>ფინანსური დანახარჯები</i>	2021	2020
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-	-
სულ ფინანსური დანახარჯები	0	0

<i>ფინანსური შემოსავალი</i>	2021	2020
საბანკო ანგარიშებზე განტავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	8746	15 745
სულ ფინანსური შემოსავალი	8 746	15 745
ნეტო ფინანსური შემოსავალი	8 746	15 745

20. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2021	2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	25 312	15 937
სულ	25 312	15 937

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინაში, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. საწარმოს საქმიანობა მართალია არ არის პირდაპირ დაკავშირებული რუსეთსა და უკრაინასთან, თუმცა მსოფლიო მასშტაბით შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზეც, კერძოდ ინფლაციით გამოწვეულმა ფასების ზრდამ საწვავსა და სხვა საწარმოო ნედლეულზე მნიშვნელოვნად შეაფერხა საწაროს საქმიანობა, თუმცა თუმცა ხელმძღვანელობა ვერ ახდენს ამ მოვლენების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 ოქტომბერს.

ხელმოწერი პირები:

ზაზა ბოხუა - დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - მთ. ბუღალტერი

19 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინაში, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეკრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. საწარმოს საქმიანობა მართალია არ არის პირდაპირ დაკავშირებული რუსეთსა და უკრაინასთან, თუმცა მსოფლიო მასშტაბით შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზეც, კერძოდ ინფლაციით გამოწვეულმა ფასების ზრდამ საწვავსა და სხვა საწარმოო ნედლეულზე მნიშვნელოვნად შეაფერხა საწარმოს საქმიანობა, თუმცა თუმცა ხელმძღვანელობა ვერ ახდენს ამ მოვლენების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 ოქტომბერს.

ხელმოწერი პირები:

ზაზა ბოხუა - დირექტორი



19 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

დარეგისტრირებული - მთ. ბუღალტერი